

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კახაბერ გუჯაბიძის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის (პერიოდი: 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 14 ივლისამდე) მოსახლეობისთვის წარდგენის

ოქმი № 1

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეულის ოფელი ქყონაგორა

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 31.10. 2015 წელი 18.00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: დეპუტატი კახაბერ გუჯაბიძე, დეპუტატი თეიმურაზ ალექსაია, დეპუტატი დარეჯან ბურჭულაძე, დეპუტატი ადამ ხუბუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ კოზანაშვილი, საკრებულოს აპარატის სამდივნოს სპეციალისტის მ/შ მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

დეპუტატი კახაბერ გუჯაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განუმარტა, რომ ის არის ორი კომისიის „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ და „სივცილ-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე, ლანჩხუთის რაიონში ფეხბურთის შექმნაში განვითარების შუმა ჯგუფის წევრი.

დეპუტატმა დამსწრეებს კომისიების, ფრაქციების და საკრებულოს სხდომებზე მის მიერ წამოყენებული იქნა და დებები და ინიციატივები გააცნო. საკრებულოს წევრმა ყურადღება გაამახვილა აპარატის კვებს, საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების „ქართული ოცნება-მრეწველების“, „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“, „ქართული ოცნება- კონსერვატორების“, „მაჟორიტარების“, ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირთა ურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის“ მიერ ინიცირებულ პროექტზე, რომელიც შეეხება სამემა-ჯიხეთის დედათა მონასტრის სამონასტრო კომპლექსის ტურისტულ-რეკრეაციულ ზონაში არსებული შუა საუკუნეების მენელსაცხებლე დედათა სახელობის ყოფილი მონასტრის ინფრასტრუქტურის, ბაზილიკის აღდგენასა და ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობას.

აღნიშნული ინიციატივა საკრებულოს სხდომაზე ყველამ ერთხმად მოიწონა. დეპუტატმა განმარტა, რომ ჯიხეთი ლანჩხუთის საეიზიტო ბარათია და უხარია, რომ ასეთი ერთსულოვნება გამოიწვია ამ საკითხმა. მან ასევე აღნიშნა პროექტის დამტკიცებმდე მომხდარი უნიშვნელოვანესი ფაქტი: ჯიხეთის დედათა მონასტერს არქიმანდრიტ ანდრიას ბავშვობის მეგობარი რუის-ურზნისის მიტროპოლიტი, მეუფე იობი (აქიაშვილი) სტუმრობდა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძესთან ერთად შეხვდა. მღვდელმთავარმა იობმა, არქიმანდრიტმა ანდრიამ და ილუმენია ირინემ ერთობლივად დალოცეს პროექტი. აღნიშნული პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შემდგომში მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიებზეც მოეწყობა ეკლესია-მონასტრები, ისტორიული ადგილები, ღირსშესანიშნაობები აღდგება და განახლება. მომლოცველებსა და ტურისტებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ სამება-ჯიხეთის სრულ ისტორიას, გაიზრდებან ტურისტული ნაკადი და ინტერესი ამ ადგილისადმი, რაც მრავალმხრივ ასახვას პოეებს, როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური კუთხით. არქიმანდრიტმა ანდრიამ მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ზაზა ურუშაძეს და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს მხარდაჭერისა და გულისხმიერებისთვის.

დეპუტატმა კახაბერგუჯაბიძემ მოსახლეობას გააცნო მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში და სოფელ ჭყონაგორაში განხორციელებული პროექტები.

შეხვედრაკითხვა- პასუხისრეჟიმშიგარბელდა. მოსახლეობამ არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრა.

ადგილობრივმა მაცხოვრებელმა ამირანჩაგუნავამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, მაგრამ მისასვლელ გზაზე კარგი იქნება თუ რკინა-ბეტონის საფარი მოეწყობა. ყოველ წელს იხრეშება გზა, მაგრამ წვიმის შედეგად ირეცხება და შედეგად არ ჩანს.

ადგილობრივი მაცხოვრებლის ქეთევანჯორბენაძის განცხადებით, ის მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს და მის საცხოვრებელ სახლს აქვს ბზარები.საჭიროებს სამშენებლო მასალით დახმარებას. მისივე თქმით, განცხადებაც დაწერილი აქვს, მაგრამ ამ დრომდე რეაგირება არ არის.

ადგილობრივი მაცხოვრებლის მაიაბარამიძის განცხადებით, საცხოვრებელი სახლი მეწყერსაშიშ ზონაშია, მცოცავი მიწაა, მოსული იყო კომისია და დასკვნის

მოლოდინშია, იცხოვრება თუ არა აღნიშნულ ადგილას.

დედა აკვირინესთქმით, სოფელში მგლებია და კარგი იქნება თუ კვირაობით და დღესასწაულის დღეებში ტრანსპორტი დაინიშნება ლანჩხუთიდან ჯიხეთის მონასტრამდე.

სოფლის მოსახლეობის ერთობლივი მოთხოვნაა გაზიფიცირება, ჩოლობარგში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და გარე განათების მოწყობა.

დასასრულს მოსახლეობამ საკრებულოს წევრს მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის. დეპუტატი მოსახლეობას სოფლისთვის პრიორიტეტული პრობლემების წარმოჩენას და მოგვარებას დაპირდა.

პატივისცემით,



კახაბერ გუჯაბიძე.